



ერთეტაპიანი გამარტივებული ელექტრონული  
ტენდერის დოკუმენტაცია

---

*საკანცელარიო საქონლის  
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ*

ქ. თბილისი  
2016 წელი

## **1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის**

**1.1** სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ შესაბამისად.

**1.2** სატენდერო წინადადება შედგება სატენდერო წინადადების ფასისგან და ტექნიკური დოკუმენტაციისგან.

**1.3** გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერთან ან ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

**1.4** დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

**1.5** სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში–სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედადამსული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

**1.6** ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

**1.7** იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტისაგან ითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებას, რომელიც შესაძლებელია დასაბუთდეს ექსპერტიზის დასკვნით, შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით, ანგარიშგაქტურით (ინვოისით) ან/და სხვა ისეთი დოკუმენტაციით, რომელიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას.

**1.8** სატენდერო წინადადებაში ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით. სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარში.

**1.9** პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება

**1.10** სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტების ან/და დაზუსტების მიღება პრეტენდენტს შეუძლია შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. 29/29<sup>ა</sup> საკონტაქტო პირები: დავით ძოწენიძე - 599 99 40 20; E-mail: [dzotsenidzedavid@gmail.com](mailto:dzotsenidzedavid@gmail.com) შალვა ქაჯაია - 599 92 55 75; E-mail: [shalvaqajaia@gmail.com](mailto:shalvaqajaia@gmail.com)

## 2. ტექნიკური დოკუმენტაცია

### 2.1 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პირობები:

N	საქონლის დასახელება	საქონლის მახასიათებლები	რაოდენობა
1	სტეპლერის ტყვიები ზომა :23/6 23/13 CPV 30124400	შესაძლებელი უნდა იყოს 40-დან 50-მდე თაბახის ფურცლის აკინძვა.	50 შეკვრა
2	CD დისკი CPV 30192000	700 MB	200 ცალი
3	DVD დისკი CPV 30192000	4.7GB	100 ცალი
4	ანტისტეპლერი CPV 30192000		50 ცალი
5	დიდი სტეპლერი CPV 30197320	უნდა შეეძლოს 10-დან 15-მდე თაბახის ფურცლის აკინძვა.	20 ცალი
6	დიდი სტეპლერის ტყვიები CPV 30124400	შესაძლებელი უნდა იყოს 10-დან 15-მდე თაბახის ფურცლის აკინძვა.	50 შეკვრა
7	პატარა სტეპლერი CPV 30197320	უნდა შეეძლოს 3-დან 7-მდე თაბახის ფურცლის აკინძვა.	10 ცალი
8	პატარა სტეპლერის ტყვიები CPV 30124400	შესაძლებელი უნდა იყოს 3-დან 7-მდე თაბახის ფურცლის აკინძვა	20 შეკვრა
9	კლიფსები დიდი CPV 30192000	ზომა 51 მმ	200 ცალი
10	კლიფსები პატარა CPV 30192000	ზომა 19 მმ	200 ცალი
11	კლიფსები საშუალო CPV 30192000	ზომა 32 მმ	200 ცალი
12	პასტა კორექტორი CPV 30192160		30 ცალი
13	ლენტი კორექტორი CPV 30192160		50 ცალი
14	მაგიდაზე დასამაგრებელი პასტები CPV 30192121		10 ცალი
15	მარკერი ფერადი CPV 30192125	სხვადასხვა ფერის	30 ცალი
16	მონიტორის საწმენდი სველი ხელსახოცი CPV 30192000		50 კოლოფი
17	ნაგვის ურნა CPV 30192000	უნდა იყოს მეტალის.	10 ცალი
18	ორგანიზერი CPV 30192000	საკანცელარიო ნივთების ჩასალაგებლად.	10 ცალი
19	საკანცელარიო დანა CPV 30197310		20 ცალი
20	საფოსტო კონვერტები CPV 30199230	ზომა: A4	300 ცალი
21	საფოსტო კონვერტები CPV 30199230	ზომა: 25X17 სმ.	700 ცალი
22	საშლელი CPV 30192100		20 ცალი

23	საწერი კალამი CPV 30192121	ბურთულიანი (ლურჯი) სიგრძე 13 სმ-17 სმ.	100 ცალი
24	სკრეპი CPV 30197220		20 შეკვრა
25	ტუმის საწერი კალამი CPV 30192124		50 ცალი
26	უბრალო ფანქარი CPV 30192131	სიგრძე 15 სმ-18 სმ. წათლილი.	40 ცალი
27	ფერადი ჩასანიშნი ფურცლები (წებოვანი) CPV 30196200		100 ცალი
28	ფერადი ჩასანიშნი ფურცლები (არაწებოვანი) CPV 30196200		100 ცალი
29	ჭიკარტი CPV 30197120		10 შეკვრა
30	ორმაგი სკოჩი CPV 30192000		5 ცალი
31	სკოჩი სამაგიდე პატარა CPV 30192000		10 ცალი
32	სათლელი CPV 30192133		15 ცალი
33	პატარა სახაზავი CPV 30194310		5 ცალი
34	დიდი სახაზავი CPV 30194310		5 ცალი
35	კედლის დაფა CPV 30195400		5 ცალი
36	გამომთვლელი (კალკულატორი) CPV 30141200	სამუშაო ზომის. აუცილებელი პირობაა კალკულატორს სხვა ძირითად კლავიშებთან ერთად უნდა ჰქონდეს $\sqrt{\quad}$ და % კლავიშები. კვება: ელემენტით	10 ცალი
37	მაგიდაზე დასადგამი რკინის თარო CPV 30193200		15 ცალი
38	მაგიდაზე დასადგამი დოკუმენტების ორგანიზერი CPV 30193100		15 ცალი

2.1.2 შესყიდვის ობიექტია 2.1 პუნქტში ჩამოთვლილი დასახელებისა და რაოდენობის საკანცელარიო საქონელი, რომლებიც დამზადებული უნდა იყოს ქარხნული წესით.

2.1.3 დაბალი ფასის წარმომდგენი პრეტენდენტი ვალდებულია ტენდერის ძირითადი დროის დასრულებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) სამუშაო დღისა წარმოადგინოს შემოთავაზებული საკანცელარიო საქონლის ერთი ერთეული ნიმუში ყველა პოზიციის მიხედვით, მისამართზე: ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. #29-29<sup>ა</sup>, მე-3 სართული.

2.1.4 პრეტენდენტების მიერ შემოთავაზებული უნდა იყოს მინიმუმ ცხრილში მოცემული, ან გაუმჯობესებული პარამეტრების მქონე საქონელი.

## 2.2 საქონლის მიწოდების პირობები და ვადები:

2.2.1 ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ საკანცელარიო საქონლის მიწოდება უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში.

2.2.2 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. #29-29<sup>ა</sup>, მე-3 სართული.

## 2.3 ფასები და ანგარიშსწორების პირობები:

2.3.1 სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

2.3.2 ანგარიშსწორება მოხდება მიწოდებული საქონლის რაოდენობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორებით ლარებში.

2.3.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების შესაბამისად გაფორმებული ინსპექტირების აქტის, მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

**2.3.5 ტენდერში წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.**

2.3.6 დაფინანსების წყარო: ქ. თბილისის 2016 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებები.

**2.4 პრეტენდენტის მიერ სისტემაში ტექნიკური დოკუმენტაციის სახით ატვირთული უნდა იყოს:**

2.4.1 სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული დანართი N1 (პრეტენდენტის რეკვიზიტები) ამავე დანართით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად;

2.4.2 სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული დანართი N2 - სატენდერო წინადადების ფასი, ფასების ცხრილი, ტექნიკური აღწერილობა, წარმოშობის ქვეყანა, მწარმოებელი ფირმა და მოდელი დანართი №2-ის მიხედვით და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნათა გათვალისწინებით;

2.4.3 თანხმობა საქონლის მიწოდების ვადებისა და პირობების შესახებ სატენდერო დოკუმენტაციის 2.2 პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

2.4.4 სატენდერო წინადადების ხელის მომწერისათვის უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული მინდობილობა (საჭიროების შემთხვევაში).

ქ. თბილისი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად ტენდერში გამარჯვებულთან. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

**ხელშეკრულების დამდები მხარეები**

1.1 შემსყიდველმა გამოაცხადა საკანცელარიო საქონლის შესყიდვაზე (CPV-----) გამარტივებული ელექტრონული ტენდერი (SPA-----) და ტენდერის შედეგად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს ზემოაღნიშნული საქონელი ----- (------ ლარი და --- თეთრი) ლარად (მოცემული თანხა წარმოდგენილია ერთიან ელექტრონულ სისტემაში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული საბოლოო თანხის შესაბამისად).

1.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს ----- (------ ლარი და --- თეთრი) ლარს.

**1. ხელშეკრულების ღირებულება**

შემსყიდველმა გამოაცხადა საკანცელარიო საქონლის შესყიდვაზე გამარტივებული ელექტრონული ტენდერი და ტენდერის შედეგად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი ----- ლარად (შემდგომში ხელშეკრულების ღირებულება)

**2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

2.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს.

2.2. ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

- 2.2.1. საქონლის მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;
- 2.2.2. შესაბამისი შემოწმების აქტის საფუძველზე მიწოდებული საქონლის ან/და მისი ნაწილის ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან - ხელშეკრულების დანართი №1 (სატენდერო დოკუმენტაციის დანართი №2 - ტექნიკური პირობები) შესაბამისობის დადგენა ინსპექტირების აქტის გაფორმება.
- 2.2.3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე კონტროლის განხორციელება, მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

2.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ -----

**3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები**

3.1. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკური დოკუმენტაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

**4. საქონლის მიწოდების პირობები**

- 4.1. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან --- დღის ვადაში;
- 4.2. საქონლის მიწოდება ადგილია -----.
- 4.3. მიწოდებული საქონელი უნდა იყოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო.

**5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული საქონლის რაოდენობის შესაბამისად.

5.2. იმ შემთხვევაში თუ, მიწოდებული საქონელი შეესაბამება ხელშეკრულების მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ახორციელებს მიწოდებული საქონლის მიღებას, ხოლო თუ, საქონლის მიწოდების პროცესში გამოვლინდება, რომ საქონელი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულების მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს ნაკლოვანი საქონელი და დაუბრუნოს იგი მიმწოდებელს მიმწოდებლის ხარჯით.

5.3. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების 5.2. პუნქტის საფუძველზე არ განხორციელდა საქონლის მიღება, მიმწოდებელი ვალდებულია 3 (სამი) დღის ვადაში უზრუნველყოს ნაკლოვანი საქონლის შეცვლა სათანადო ხარისხის საქონლით, ხოლო აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების 14.1. პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

5.4. მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს საქონლის მიწოდებისას მიღება-ჩაბარების აქტი, სასაქონლო ზედნადებები და საგადასახადო ანგარიშფაქტურა (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ-ს

გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა სსიპ შემოსავლების სამსახურიდან).

5.5. ხელშეკრულების 4.4. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს შემდეგ მისამართზე: -----

5.6 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსი პირია.....

## **6. ანგარიშსწორება**

6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

6.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების 5.4. პუნქტის შესაბამისად გაფორმებული ინსპექტირების აქტის, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედდებულებისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ-ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა სსიპ შემოსავლების სამსახურიდან) არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

## **7. მხარეთა ვალდებულებები**

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1. მიაწოდოს „შემსყიდველს“ უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი;

7.1.2. „შემსყიდველს“ მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანხლები დოკუმენტაციის წარდგენა;

7.1.3. უზრუნველყოს ნაკლოვანი საქონლის შეცვლა 3 (სამი) დღის ვადაში;

7.1.4. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.5. დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ დროული და სრული დაფინანსება;

7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

## **8. მხარეთა უფლება**

8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს მიწოდებული პროდუქციის ხარისხისა და რაოდენობის კონტროლი;

8.2.2. განაცხადოს უარი უხარისხო საქონლის მიღებაზე.

## **9. ფორს-მაჟორი**

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## **10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა**

1.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე

მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ორგვლივ.

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## 12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

## 13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად არ განხორციელდა შესაბამისი რაოდენობისა და ხარისხის საქონლის მიწოდება, მიმწოდებელს დაეკისრება პირსაგამტეხლო მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13.3. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 6.3. პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს მიმწოდებლის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

## 14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

## 15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2017 წლის -----.

## 16. განსაკუთრებული პირობები

16.1. ხელშეკრულება შედგენილია -- ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;

16.2. ხელშეკრულების ---- ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან“; ---- ეგზემპლარი „შემსყიდველთან“.

„შემსყიდველი“

„მიმწოდებელი“



რეკვიზიტები

1.	პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:	
	ხელმძღვანელის თანამდებობა, სახელი და გვარი:	
	პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:	
	საიდენტიფიკაციო კოდი:	
	პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:	
	ელექტრონული მისამართი:	
	ბანკი:	
	ბანკის კოდი:	
	ანგარიშის ნომერი:	

პრეტენდენტის ხელმოწერა:

\_\_\_\_\_

ბ.ა.

სატენდერო წინადადების ფასი (ლარი), ფასების ცხრილი, ტექნიკური აღწერილობა, მიწოდების ვადა და ადგილი

„\_\_\_” \_\_\_\_\_ 2016 წ.  
(შევსების თარიღი)

\_\_\_\_\_ სატენდერო წინადადების ფასი \_\_\_\_\_ (\_\_\_\_\_) ლარად.  
(პრეტენდენტის დასახელება) (თანხა ციფრებით) (თანხა სიტყვიერად)

N	საქონლის დასახელება	ტექნიკური აღწერილობა წარმოშობის ქვეყანა, მწარმოებელი ფირმა და მოდელი	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	საერთო ფასი	მიწოდების ვადა
1	2	3	4	5	6	7
1	სტეპლერის ტყვიები ზომა :23/6 23/13 CPV 30124400		50 შეკვრა			
2	CD დისკი CPV 30192000		200 ცალი			
3	DVD დისკი CPV 30192000		100 ცალი			
4	ანტისტეპლერი CPV 30192000		50 ცალი			
5	დიდი სტეპლერი CPV 30197320		20 ცალი			
6	დიდი სტეპლერის ტყვიები CPV 30124400		50 შეკვრა			
7	პატარა სტეპლერი CPV 30197320		10 ცალი			
8	პატარა სტეპლერის ტყვიები CPV 30124400		20 შეკვრა			
9	კლიფსები დიდი CPV 30192000		200 ცალი			
10	კლიფსები პატარა CPV 30192000		200 ცალი			
11	კლიფსები საშუალო		200 ცალი			

	CPV 30192000				
12	პასტა კორექტორი CPV 30192160		30 ცალი		
13	ლენტი კორექტორი CPV 30192160		50 ცალი		
14	მაგიდაზე დასამაგრებელი პასტები CPV 30192121		10 ცალი		
15	მარკერი ფერადი CPV 30192125		30 ცალი		
16	მონიტორის საწმენდი სველი ხელსახოცი CPV 30192000		50 კოლოფი		
17	ნაგვის ურნა CPV 30192000		10 ცალი		
18	ორგანიზერი CPV 30192000		10 ცალი		
19	საკანცელარიო დანა CPV 30197310		20 ცალი		
20	საფოსტო კონვერტები CPV 30199230		300 ცალი		
21	საფოსტო კონვერტები CPV 30199230		700 ცალი		
22	საშლელი CPV 30192100		20 ცალი		
23	საწერი კალამი CPV 30192121		100 ცალი		
24	სკრეპი CPV 30197220		20 შეკვრა		
25	ტუმის საწერი კალამი CPV 30192124		50 ცალი		
26	უბრალო ფანქარი CPV 30192131		40 ცალი		
27	ფერადი ჩასანიშნი ფურცლები (წებოვანი) CPV 30196200		100 ცალი		
28	ფერადი ჩასანიშნი ფურცლები (არაწებოვანი) CPV 30196200		100 ცალი		
29	ჭიკარტი CPV 30197120		10 შეკვრა		
30	ორმაგი სკოჩი CPV 30192000		5 ცალი		

31	სკოჩი სამაგიდე პატარა CPV 30192000		10 ცალი			
32	სათლელი CPV 30192133		15 ცალი			
33	პატარა სახაზავი CPV 30194310		5 ცალი			
34	დიდი სახაზავი CPV 30194310		5 ცალი			
35	კედლის დაფა CPV 30195400		5 ცალი			
36	გამომთვლელი (კალკულატორი) CPV 30141200		10 ცალი			
37	მაგიდაზე დასადგამი რკინის თარო CPV 30193200		15 ცალი			
38	მაგიდაზე დასადგამი დოკუმენტების ორგანიზერი CPV 30193100		15 ცალი			

**შენიშვნა:**

- დღგ-ს გადამხდელის შემთხვევაში სატენდერო წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს დღგ-ს გათვალისწინებით.
- იმ შემთხვევაში თუ არ ხართ დღგ-ს გადამხდელი გთხოვთ აღნიშნული ინფორმაცია მიუთითოთ შენიშვნის სახით და დააფიქსიროთ რომ ფასი წარმოდგენილია დღგ-ს გარეშე.
- მე-3, მე-5, მე-6 და მე-7 გრაფები ივსება პრეტენდენტის მიერ.

**აუცილებელი პირობა:**

- მე-3 გრაფაში პრეტენდენტის მიერ მითითებული უნდა იქნას შემოთავაზებული საქონლის დეტალურად გაშიფრული ტექნიკური მახასიათებლები წარმოშობის ქვეყნის, მწარმოებელი ფირმის და მოდელების სრულყოფილი მითითებით.

პრეტენდენტის ხელმოწერა: \_\_\_\_\_